საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

N 08-02/46432

08/06/2023

46432-08-02-2-202306080934

მოქ. თეკლა ადამიას
ელ-ფოსტა: foi+request-2665-dfbded6d@askgov.ge

ქალბატონო თეკლა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი განცხადება (საქართველოს ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის N83183/01; რეგისტრაციის თარიღი: 16.05.2023) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ და გაცნობებთ, რომ **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს**, მის მმართველობის სფეროში შემავალ **სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს** და **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს** *(ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა 2016 წელს)* 2012-2023 წლების განმავლობაში სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომელთან, საქართველოს სასამართლოებში სამართლებრივი დავა არ ჰქონიათ.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ, 2012-2023 წლების განმავლობაში გათავისუფლებულ თანამშრომელთა მიმართ, საქართველოს სასამართლოებში ნაწარმოები საქმეების ოდენობისა და დამდგარი შედეგების შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

- **სსიპ - შემოსავლების სამსახური** შრომითი დავების რაოდენობის თაობაზე სტატისტიკას აწარმოებს 2020 წლიდან. შესაბამისად, გაცნობებთ, რომ 2020-2023 წლებში სსიპ შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ წამოწყებულია 10 (ათი) შრომითი დავა. აქედან: 2020 წელს - 3 (სამი), 2021 წელს - 3 (სამი), 2022 წელს - 4 (ოთხი), ხოლო 2023 წელს - 0; მითითებული დავებიდან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულია 1 (ერთი) დავა. მიმდინარეა: პირველი ინსტანციის სასამართლოში - 5 (ხუთი) დავა, მეორე ინსტანციის სასამართლოში - 2 (ორი) დავა, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში - 2 (ორი) დავა. დამატებით გაცნობებთ, რომ ერთი დავა დასრულდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით 2022 წელს და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა, როგორც მოსარჩელის აღდგენა პირვანდელ თანამდებობაზე, ასევე მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. იძულებითი განაცდური განისაზღვრა ყოველთვიური 1 096 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე), გათავისუფლების დღიდან პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენამდე;

- **სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიას** 2012- 2023 წლების განმავლობაში ჰქონდა 1 (ერთი) სასამართლო დავა სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლის წინააღმდეგ 2014 წელს. სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს** 2012-2023 წლების განმავლობაში ჰქონდა ერთი 1 (ერთი) სასამართლო დავა სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლის წინააღმდეგ 2015 წელს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, სამსახურს არ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა და განაცდურის ანაზღაურება;
- **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს** 2012-2023 წლების განმავლობაში, სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომელთან ჰქონდა 1 (ერთი) დავა, დავის საგანი იყო - ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. ხსენებული დავა საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში დასრულდა საგამოძიებო სამსახურის სასარგებლოდ და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, სამსახურს არ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა და განაცდურის ანაზღაურება.

პატივისცემით,

ბექა ჩხაიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი